

## ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი

1. წითელა
2. წითურა

2016, ოქტომბერი №10, ტომი 20

### წითელა

2016 წლის პირველ ნახევარში დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა (დზეის)-ს სტატისტიკურ ანგარიშში (ფორმა IV-03) აღირიცხა წითელას 7 შემთხვევა (ინციდენტობა-0,2).

2015 წლის შესაბამის პერიოდში ინციდენტობის მაჩვენებელი იყო -11,1 (98,2%-ით მეტი).

2016 წლის აღნიშნულ პერიოდში, დზეის-ში რეგისტრირებული იყო წითელათი დაავადების 30 შესაძლო შემთხვევა, რომელზეც დამყარდა ზედამხედველობა. ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევის შედეგად 4 შემთხვევა კლასიფიცირდა, როგორც სავარაუდო (კლინიკური); 3- როგორც დადასტურებული (ლაბორატორიულად); 19- უკუგდებული (ლაბორატორიული ტესტირების შედეგად); 4-უკუგდებული (კლინიკური დიაგნოზის შეცვლის საფუძველზე). 30 შემთხვევიდან, რომელზედაც დამყარებული იყო ზედამხედველობა, ლაბორატორიულად ტესტირებული იყო 24 შემთხვევა (80%). მ.შ 3- დადასტურებული; 2-შემთხვევაში დაფიქსირდა ზღვრული მაჩვენებელი და საბოლოოდ კლასიფიცირდა, როგორც სავარაუდო; 19-უკუგდებული. ჰოსპიტალიზირებული იყო სამი დაავადებული. წითელას გართულებები ან ლეტალური გამოსავალი არ აღნიშნულა. როგორც მოსალოდნელი იყო, 2015 წლის ეპიდემიოლოგიის შემდეგ, რაც განპირობებული იყო მოსახლეობაში იმუნური შრის სიმცირით და შესაბამისად, ინფექციის მიმღები კონტინგენტის მაღალი ხვედრითი წილით, მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში აღინიშნა ინციდენტობის მნიშვნელოვანი კლება.


წითელას შემთხვევები და ინციდენტობა მხარეების მიხედვით  
2015-2016 წლის I-VI თვე

ცხრილი 1.

მხარეები	შემთხვევათა რაოდენობა		ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე		მატება-კლება% 2015-2016წ 1-6თვე
	2015წ 1-6თვე	2016წ 1-6თვე	2015წ 1-6თვე	2016წ 1-6თვე	
თბილისი	245	4	21,9	0,4	-98
აჭარა	4	3	1,2	0,9	-25
იმერეთი	22	0	4,1	0	-22შ.
კახეთი	3	0	0,9	0	-3შ.
მცხეთა-მთიანეთი	22	0	23,3	0	-22შ.
სამეგრელო	19	0	5,7	0	-19შ.
ქვემო ქართლი	89	0	20,7	0	-89შ.
შიდა ქართლი	10	0	3,8	0	-10შ.
საქართველო	414	7	11,1	0,2	-98,2

## წითელას ინციდენტობა მხარეების მიხედვით 2015-2016 წლის I-VI თვე

სურათი 1.



როგორც მოსალოდნელი იყო, 2015 წლის ეპიდაფეთქების შემდეგ, რაც განპირობებული იყო მოსახლეობაში იმუნური შრის სიმცირით და შესაბამისად, ინფექციის მიმღები კონტინგენტის მაღალი ხვედრითი წილით, მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში აღინიშნა ინციდენტობის მნიშვნელოვანი კლება.

2016 წლის I-VI თვე არ დაფიქსირებულა დაავადების ჯგუფური შემთხვევები.

**წითელას შემთხვევების განაწილება თვეების მიხედვით  
2015-2016წლის 1-6თვე**


ცხრილი 2.

თვეები	I	II	III	IV	V	VI	სულ
<b>2016წ.1-6თ. შემთხვევა.</b>	1	0	0	2	0	4	7
<b>2016წ.1-6თ. %</b>	14,3	0	0	28,5	0	57,1	–
<b>2015წ.1-6თ. შემთხვევა.</b>	44	81	61	56	108	64	414
<b>2015წ.1-6თ. %</b>	10,6	19,6	14,8	13,5	25,9	15,5	–

დაავადების სეზონურობიდან გამომდინარე, შემთხვევების და პროცენტული მაჩვენებლის მატება დაფიქსირდა გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში.

წითელას შემთხვევების პროცენტული განაწილება თვეების მიხედვით  
2015-2016წლის I-VI თვე

სურათი 2.



წითელას შემთხვევების და ინციდენტობის ასაკობრივი განაწილება

2015-2016წლის I-VI თვე

ცხრილი 3.


ასაკები	2015წლის 1-6თვე			2016წლის 1-6თვე		
	შემთხვევა	%	ინციდენტობა	შემთხვევა	%	ინციდენტობა
0-1წ.	60	14,5	100,3	1	14,3	1,7
1-4წ.	90	21,8	45,7	4	57,1	2,0
5-14წ.	75	18,1	19,1	1	14,3	0,2
14წ.ზ.	189	45,5	6,1	1	14,3	0,03
სულ	414	–	11,1	7	–	0,2

2016 წლის I-VI თვე, 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის დაავადების 6 შემთხვევა ანუ 85,7%. ინციდენტობა-0,8. 2015წლის I-VI თვე 225 შემთხვევა ანუ 54,5%. ინციდენტობა-34,7. მიმდინარე წლის I-VI თვე, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფში წითელას ინციდენტობა შემცირდა 97,7%-ით.

## წითელას შემთხვევების ასაკობრივი ინციდენტობა

2015-2016 წლის I-VI თვე


სურათი 3.



2016წლის I-VI თვე, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაავადების შემთხვევების რაოდენობა და ინციდენტობა შემცირდა ყველა ასაკობრივ ჯგუფში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის I-VI თვე შემთხვევების რაოდენობა, ინციდენტობა და პროცენტული მაჩვენებელი მაღალია 1-4 წლის ასაკობრივ ჯგუფში. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ამ ასაკობრივ ჯგუფში ინციდენტობა შემცირდა 95,6%-ით.

წითელას შემთხვევების ასაკობრივი (%) განაწილება  
2015-2016 წლის I-VI თვე

სურათი 4.



წითელას შემთხვევების განაწილება ასაკის, აგრის სტატუსის, ლაბორატორიული დადასტურების, ჰოსპიტალიზაციის და ლეტალური გამოსავლის მიხედვით

2016 წლის I-VI თვე

ცხრილი 4.

აგრის სტატუსი	0-1წ	1-4წ	5-14წ	15-19წ	20-29წ	30+	სულ
0 დოზა	1	1	1	0	0	0	3
1 დოზა	0	3	0	0	0	0	3
2 დოზა	0	0	0	0	0	0	0
აგრის სტატუსი უცნობი	0	0	0	0	1	0	1
სულ	1	4	1	0	1	0	7




ლაბორატორიულად დადასტურებული	0	1	1	0	1	0	3
ჰოსპიტალიზირებული	0	2	0	0	1	0	3
ლეტალობა	0	0	0	0	0	0	0

როგორც ცხრილში დაფიქსირებული მონაცემებიდან ჩანს, ერთი წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში, ანუ იმ ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც ექვემდებარებოდა ვაქცინაციას, აღრიცხულია დაავადების 6 (85,7%) შემთხვევა. აქედან აუცრელი არის 2 (33,3%); 1დოზით აცრილია 3(50%); აცრის სტატუსი უცნობია 1(16,7%) შემთხვევაში.

**წითელას ინციდენტობის მრავალწლიანი დინამიკა  
საქართველო, 2001-2016 (I-VIთვე)**

სურათი 5.



ინფექციის ციკლორობის, სეზონურობის და გატარებული პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ დაავადების გავრცელების ეპიდემიოლოგიური პიკი გადავლილია და მიმდინარე წლის შემდგომ თვეებში და მომავალ წელს, ქვეყანაში ადგილი ექნება დაავადების შემთხვევების მნიშვნელოვან კლებას.

In consideration of seasonal distribution of measles disease and implemented preventive measures, epidemiologic peak of the disease has been overcome, upcoming months and next year, significant decrease of cases number will be expected.

## წითურა

2016 წლის (I-VIთვე) თვეში დზეის-ის სტატისტიკურ ანგარიშში აღირიცხა წითურას 9 შემთხვევა (2015წ. I-VIთვე -76 შემთხვევა). ინციდენტობა -0,2. (2015წ. I-VIთვე -2,0 შემთხვევა). 2016წლის 1-6თვეში 2015წლის I-VI თვესთან თვესთან შედარებით ინციდენტობა შემცირდა 90%-ით.

2016 წლის I-VI თვეში დზეის-ში რეგისტრირებული იყო წითურათი დაავადების 67 შესაძლო შემთხვევა, რომელზეც დამყარდა ზედამხედველობა. ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევის შედეგად 8 შემთხვევა კლასიფიცირდა როგორც სავარაუდო (კლინიკური); 1-დადასტურებული (ლაბორატორიულად); 48-უკუგდებული (ლაბორატორიული ტესტირების შედეგად); 10-უკუგდებული(კლინიკური დიაგნოზის შეცვლის საფუძველზე). 67 შემთხვევიდან, რომელზედაც დამყარებული იყო ზედამხედველობა, ლაბორატორიულად ტესტირებული იყო დაავადების 53 შემთხვევა(79%). მ.შ 1-დადასტურებული; 4-შედეგი ზღვრული მაჩვენებელი და საბოლოოდ კლასიფიცირდა, როგორც სავარაუდო; 48-უკუგდებული. ჰოსპიტალიზირებული იყო ერთი დაავადებული, ლეტალობა-0.

### წითურას შემთხვევები და ინციდენტობა მხარეების მიხედვით 2015-2016წლის 1-6თვე


ცხრილი 1.

მხარეები	შემთხვევათა რაოდენობა		ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე		მატება-კლება % 2015-2016წ I-VI თვე
	2015წ I-VI თ	2016წ I-VI თ	2015წ I-VI თ	2016წ I-VI თ	
აჭარა	4	1	1,2	0,3	-75
თბილისი	29	4	2,6	0,3	-88,5
იმერეთი	13	2	2,4	0,4	-83,3
სამეგრელო	16	1	4,8	0,3	-93,7
შიდა ქართლი	7	0	2,6	0	-78.
ქვ. ქართლი	3	1	0,7	0,2	-71,4
მცხეთა-მთიანეთი	3	0	3,2	0	-38.
რაჭა-ლეჩხუმი	1	0	3,1	0	-18.
საქართველო	76	9	2,0	0,2	-90

წითურას ინციდენტობა მხარეების მიხედვით

2015-2016 წლის I-VI თვე

სურათი 1.



2016 წლის I-VI თვეში, 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყანაში აღინიშნა ინციდენტობის მნიშვნელოვანი კლება.

მიმდინარე წლის I-VI თვეში ქვეყანაში არ არის აღირიცხული თანდაყოლილი წითურას სინდრომის შემთხვევა.


წითურას შემთხვევების განაწილება თვეების მიხედვით  
2015-2016წლის I-VI თვე

ცხრილი 2.

თვეები	I	II	III	IV	V	VI
2016წ. I-VI თ. შემთხვევა.	2	0	0	1	3	3
2016წ. I-VI თ. %	22,2	0	0	11,1	33,3	33,3
2015წ. I-VI თ. შემთხვევა.	8	10	11	11	16	20
2015წ. I-VI თ. %	10,5	13,1	14,5	14,5	21,0	26,3

წითურას შემთხვევების პროცენტული განაწილება თვეების მიხედვით  
2015-2016წლის I-VI თვე

სურათი 2.



წითურას შემთხვევების და ინციდენტობის ასაკობრივი განაწილება

2015-2016წლის I-VI თვე

ცხრილი 3.


ასაკები	2015წლის I-VI თვე			2016წლის I-VI თვე		
	შემთხვევა	%	ინციდენტობა	შემთხვევა	%	ინციდენტობა
0-1წ.	9	11,8	15,0	2	22,2	3,4
1-4წ.	47	61,8	23,8	2	22,2	1,0
5-14წ.	15	19,7	3,8	2	22,2	0,4
14წ.ზ.	5	6,6	0,2	3	33,3	0,1
სულ	76	–	2,0	9	–	0,2

2016 წლის I-VI თვეში 0-14წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის დაავადების 6 შემთხვევა ანუ 66,7%. ინციდენტობა-0,8. 2015წლის I-VI თვეში 71 შემთხვევა ანუ 93,4%. ინციდენტობა-10,9. მიმდინარე წლის I-VI თვეში, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, წითურას ინციდენტობა შემცირდა 92,7%-ით.

2016 წლის I-VI თვეში შედარებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელით გამოირჩევა 14 წ.ზ. ასაკობრივი ჯგუფი. ინციდენტობა კი მაღალია 0-1 წლის ასაკობრივ ჯგუფში.


წითურას შემთხვევების ასაკობრივი (%) განაწილება 2015-2016წლის I-VI თვე

სურათი 3.



წითურას შემთხვევების ასაკობრივი ინციდენტობა 2015-2016 წლის I-VI თვე

სურათი 4.



წითურას შემთხვევების განაწილება ასაკის, აგრის სტატუსის, ლაბორატორიული დადასტურების, ჰოსპიტალიზაციის და ლეტალური გამოსავალის მიხედვით

2016წლის I-VI თვე

ცხრილი 4.

აგრის სტატუსი	0-1წ	1-4წ	5-14წ	15-19წ	20-29წ	30+	ასაკი უცნობი	სულ
0 დოზა	2	0	0	0	0	1	0	3
1 დოზა	0	2	0	0	0	0	0	2
2 დოზა	0	0	1	0	0	0	0	1
აგრის სტატუსი უცნობი	0	0	1	2	0	0	0	3
სულ	2	2	2	2	0	1	0	9
ლაბორატორიულად დადასტურებული	0	0	0	1	0	0	0	1
ჰოსპიტალიზირებული	1	0	0	0	0	0	0	1
ლეტალობა	0	0	0	0	0	0	0	0

როგორც ცხრილში დაფიქსირებული მონაცემებიდან ჩანს, ერთი წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში, ანუ იმ ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც ექვემდებარებოდა ვაქცინაციას, აღრიცხული არის დაავადების 7(77,8%) შემთხვევა. აქედან აუცრელია - 1(14,3%); 1დოზით აცრილია 2(28,6%); 2 დოზით აცრილია 1(14,3%); აგრის სტატუსი უცნობია 3(42,8%) შემთხვევაში.

As noted in the table 4, in the age group one year and above 7 cases (77,8%) of disease were detected. Out of them was not vaccinated - 1 (14.3%); 2 (28.6%) received 1 dose of rubella vaccine; 1 (14.3%) received - 2 doses, vaccination status was unknown in 3 (42.8%) cases.

მასალა ეპიდ ბიულეტენისთვის მოგვარდა მართვედი, რესპირატორული, და ზოონოზური დაავადებების სამმართველოს უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან სანაძემ



პიდემიოლოგიური ბიულეტენი“ წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პუბლიკაციას.

ბიულეტენში გამოქვეყნებული მონაცემები ემყარება დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელთ არსებულ მასალებს. გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ბიულეტენში მასალის გამოქვეყნების ჩათვლით, მიმართეთ „ეპიდემიოლოგიური ბიულეტენის“ რედაქციას მისამართზე: თბილისი, ასათიანის 9, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. „ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი“ წარმოადგენს საზოგადოებრივ საკუთრებას. გამოყენებული მასალებით სარგებლობისა და მათი რეპროდუქციისთვის სპეციალური ნებართვა საჭირო არ არის, მაგრამ სასურველია მონაცემების წყაროს მოხსენიება.

.....

**სარედაქციო კოლეგია:**

- ი. ზედგენიძე - მენეჯერ-რედაქტორი
- გ. კაციტაძე - რედაქტორი
- პ. იმნაძე
- ლ. სტურუა
- ხ. ზახაშვილი
- შ. ცანავა
- მ. ცინცაძე

# Epidemiology Bulletin

**National Center for Disease  
Control and Public Health**

Ministry of Labour, Health

And Social Affairs of Georgia

**2016/Vol.20 N10**